




COMBIFLEX®-EL

ორკომპონენტური პოლიმერით მოდიფიცირებული ბიტუმის საფარი(PMBC)

CE	
SCHOMBURG GmbH & Co. KG Aquafinstraße 2 –8 D-32760 Detmold 13 2 05035	
EN 15814 COMBIFLEX-EL Polymer modified bituminous coating for waterproofing structures below ground	
Waterproof performance	W2B
Crack-bridging ability	CB2
Resistance to water	passed
Flexibility at low temperatures	passed
Dimensional stability at high temperatures	passed
Reaction to fire	B2
Compressive strength	C2A
Permanence of waterproof properties and reaction to fire	fulfilled



- წნევიანი წყალი DIN 18195-6 **-ის მიხედვით
- დამატებით გამოიყენება გრძივ ზოლებში, გარეთ განლაგებული გადაბმების წყალგაუმტარობისთვის (ე.წ. ზებრისებური წყალგაუმტარობა).

ტექნიკური მონაცემები:

საფუძველი: 2- კომპონენტური, კატიონური ბიტუმის საფარი

სიმკვრივე: დაახლ. 0.9 კგ/დმ³

გამოყენება/ქვენაფენი შრე

ტემპერატურა: +5° C -დან +35° C-მდე

შესქელების დრო: დაახლ. 45 – 60 წუთი.

ნაპრალების ამოვსების უნარი

DIN EN 15812-ის მიხედვით: > 2 მმ (CB2)

მედეგი წვიმის მიმართ

DIN EN 15816-ის მიხედვით: < 4 საათი (R2)

წყალგაუმტარობა (განაჭერი დისკის წნევა1მმ)

DIN EN 15820-ის მიხედვით: > 0.75 ბარ (W2A)

სიმტკიცე კუმშვაზე,

0.3 მნ/მ²,

DIN EN 15815PG-ის მიხედვით: C2A

რეაქცია ცეცხლზე

DIN EN 13501-1-ის მიხედვით: კლასი E

მნიშვნელობები მოცემულია +23°C და 50% შედარებითი ტენიანობის პირობებისთვის. ადგილისა და ამინდის პირობებმა, შეიძლება გაზარდოს ან შეამციროს მოცემული მონაცემები.

მასალის ხარჯიანობა/ მშრალი ზოლის სისქე:

- გრუნტის სინესტე, არამდგრადი ფილტრაციული წყალი:

(DIN 18195-4): 3.75 l/მ² = დაახლ. 3 მმ

მშრალი ზოლის სისქე

- წნევის ქვეშ არ მყოფი წყალი – ზემოქმედების საშუალო მაჩვენებელი

(DIN 18195-5): 3.75 l/მ² = დაახლ. 3 მმ

მშრალი ზოლის სისქე

- დამდგარი ფილტრაციული წყალი/ წნევიანი წყალი **

(DIN 18195-6): 5.0 l/მ² = დაახლ. 4 მმ

მშრალი ზოლის სისქე

უფრო მეტი მასალის მოხმარება არასწორი ქვენაფენი შრის გამო, არ არის გათვალისწინებული.

- კატიონური
- რადონის ბარიერი
- სწრაფად ხდება წყალგაუმტარი
- ქიმიური რეაქციებით ქმნის ჯვარედინა კავშირებს
- კარგად ეკვრის მქრქალ სველ და მშრალ ზედაპირქვეშა ფენებს
- შეიძლება გამოყენებული იქნას დაგრუნტვის გარეშე
- უნაწიბურო, მოქნილი, ნაპრალების ამოსასვები წყალგამძლე გარსი
- გამოდგება ყველა ტრადიციული ტიპის ზედაპირქვეშა ფენისთვის
- მარტივი და ეფექტური გამოყენება
- შეიძლება წაისვას ნიჩაბით
- დაბალი ხარჯიანობა
- წყალგამძლე მასალა DIN 18195-2 – ნაწილი 2 / DIN EN 15814-ის მიხედვით
- ფლოზს გამოცდის სერთიფიკატს „გარეთ არსებული გადაბმების წყალგამძლეობა“ სამშენებლო რეგულაციების (ჩამონათვალი A, ნაწილი 2, რიგითი ნომერი 1.4) მიხედვით.

გამოყენების არეალი:

COMBIFLEX-EL გამოიყენება წყალგამძლე გრუნტით დაფარული სამშენებლო კომპონენტებისთვის, როგორცაა, მაგალითად: სარდაფის კედლები და საძირკვლები, გარემო პირობების ზემოქმედებების მიხედვით:

- გრუნტის სინესტე და არამდგრადი ფილტრაციული წყალი DIN 18195 – ნაწილი 4-ის მიხედვით
- წნევის ქვეშ არ მყოფი წყალი - ზემოქმედების საშუალო მაჩვენებელი DIN 18195 – ნაწილი 5-ის მიხედვით
- დამდგარი ფილტრაციული წყალი DIN 18195 – ნაწილი 6-ის მიხედვით

COMBIFLEX®-EL

შეფუთვა:

შენახვა:

11 და 22 l სათლები
ყინვაგამძლე, 6 თვე გაუხსნელ თავდაპირველ
კონტეინერებში. გამოიყენეთ გახსნილი
კონტეინერები მალევე.

იარაღების

დასუფთავება: გარეცხეთ იარაღები წყლით ან ASO-R001-ით
სამუშაოების დასრულებისთანავე. გამშრალი მასალა
გაცილებით რთულად შორდება.

ქვენაფენი შრის მომზადება:

ქვენაფენი შრე უნდა იყოს ყინვაგამძლე, ტვირთის მატარებელი,
სწორი, ღია ფორიანი ტექსტურით და გააჩნდეს დახურული
ზედაპირი. მას არ უნდა ჰქონდეს ქვიშის ჯიბეები, ღრმულები, ღრმა
ზხარები, შვერილები და არ უნდა შეიცავდეს მიწების
ხელისშემშლელ მასალას, როგორცაა მტვერი, ცემენტის წვენი, და
არამყარ ნაწილაკები. გადახრები > 5 მმ, ასევე დუღაბის ჯიბეები,
ბათქაშის კვალი აგურით ნამუშევარში, ღია ვერტიკალური და
ჰორიზონტალური ქვის წყობის ბმები, ღრუები, მსხვილ ფორიანი
ქვენაფენი შრეები ან არასწორი ქვის წყობა, წინასწარ უნდა
გასწორდეს ASOCRET-M30-ით. მოსწორება, შეიძლება, ასევე
შესრულდეს მოქრევი/ ამომგებები საფარით. ნაწიბურები და
კუთხეები უნდა მომრგვალდეს ან, ბეტონის კომპონენტების
შემთხვევაში, დაიღაროს ინსტალაციის შემდეგ. ცემენტის წვენიანი
ფენები კედელზე/იატაკის გადასვლებზე უნდა მოცილდეს
მექანიკურად.

კედლის/იატაკის გადაბმები, შიდა კუთხეები და შეერთებები:

თხევადი თიხის კონსისტენციის AQUAFIN-1K-ის ან ASOCRET-M30-
ის გამოყენებით დაგრუნტეთ სათანადოდ მომზადებული ქვენაფენი
შრე და, სანამ გაშრება, ASOCRET-M30-სგან ააგეთ შეკრული ქიმი, მინ.
4 სმ სიგრძის ნაწიბურით. უკანა მხრიდან ნესტისგან დასაცავად,
საყრდენი ფილის თავზე წაუსვით AQUAFIN-1K , მინ 20 სმ
სიმაღლეზე, და გარემო პირობების ზემოქმედების
გათვალისწინებით, დაუშვით წინა მხარის ზემოთ მინ. 10-15სმ-ით.
მოდრავე კონსტრუქციის გადაბმის ადგილებზე წყალგამძლე გარსი
გამყარებულია ADF-Dehnfugenband-ით ან ASO-Joint-Tape-2000/2000-
S-ით და ერთიანდება ზედაპირზე გადასმულ წყალგამძლე გარსში.

შელწევადობა:

გრუნტის ნესტისა და არამდგრადი ფილტრაციული წყლის ზემოქმედების
პირობებში, შელწევადობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას მინერალური
საფუძვლის შეკრული ქიმიტ, და გაშრობისთანავე გაერთიანდეს ზედაპირზე
გადასმულ წყალგამძლე გარსში. წნევის ქვეშ არ მყოფი დამდგარი
ფილტრაციული წყლის/ წნევის ქვეშ მყოფი წყლის ზემოქმედების პირობებში,
გამოიყენეთ მისაწებებელი შეკრული ან ცალკეული/მთლიანი ნაწიბურები
შელწევის ადგილებში და გააერთიანეთ ზედაპირზე გადასმულ წყალგამძლე
გარსში.

გაშხეფების ზონის / პლინთუსის ადგილის გადასვლა:

წყლის გაშხეფების ზონაში, აიყვანეთ წყალგამძლე გარსი გრუნტიდან მინიმუმ
30 სმ-ზე. გრუნტის დონესთან გასწორების შემდეგ, წყალგამძლე გარსმა უნდა
მიადწიოს მინიმუმ 15 სმ-ს გრუნტის დონიდან. როგორც წესი, ეს გადასვლა
ხორციელდება დრეკადი წყალგამძლე თხევადი თიხით, როგორცაა
მაგალითად, AQUAFIN-RS300, იმისათვის, რომ მივიღოთ შეკვრის უნარის
მქონე (მაგ. შენობის პლინთუსის მოსაბათქაშებლად) ქვენაფენი შრე.
წყალგამძლე თხევად თიხას ზემოდან გადაუსვით მინ. 10 სმ სისქის ბიტუმის
საფარი.

პროდუქტის მომზადება:

კარგად აურიეთ COMBIFLEX-EL-ის კომპონენტი A ნელა მბრუნავი დრელ
მიქსერით (დაახლ. 500-700 ბრუნის წუთში). შემდეგ კომპონენტი A მთლიანად
დაუმატეთ ფხვნილის კომპონენტს და ურით ინტენსიურად, სანამ არ
მიიღებთ ერთგვაროვან მასას, რომელშიც არ იქნება ბულებები. გაყოფილი
რაოდენობების არევა არ არის შესაძლებელი.

გარემო პირობების ზემოქმედება DIN 18195 – ნაწილი 4-ის მიხედვით:

მოსასასწორებელი ქაფრით წაუსვით COMBIFLEX-EL მინიმუმ, 2 ფენად.
თანაბარი სისქის მისაღწევად, იდეალურია, მოსწორდეს შესაბამისი ზომის
ნაჭდევიანი ქაფრით, ხოლო შემდეგ შექმენით მჭიდრო ზედაპირი ქაფრის
ბრტყელი კიდეებით. ყოველთვის წაუსვით სველზე სველი. მშრალი ზოლის
სისქე უნდა იყოს მინიმუმ, 3 მმ. წაუსვით ASO-Systemvlies-02 COMBIFLEX-EL-
ის სველ ფენას გადაფარვის გარეშე და მოაგლუვეთ მოსასწორებელი ქაფრით ან
მხურავის ცოცხით.

COMBIFLEX®-EL

გარემო პირობების ზემოქმედება DIN 18195 – ნაწილი 5-ის მიხედვით: (ზემოქმედების საშუალო მაჩვენებელი):

მოსასწორებელი ქაფით წაუსვით COMBIDIC-EL მინიმუმ, 2 ფენად. გააერთიანეთ ASO-ით გამყარებული ტექსტურა წყალგამძლე გარსის სველ პირველ საფარში, ფოსფატსა და კიდებზე. აცადეთ კარგად გაშრობა შემდეგი ფენის წასმამდე, რომ არ დაზიანდეს პირველი ფენა. მშრალი ზოლის სისქე უნდა იყოს მინიმუმ, 3 მმ. წაუსვით ASO-Systemvlies-02 COMBIFLEX-EL-ის სველ ფენას გადაფარვის გარეშე და მოაგლუვეთ მოსასწორებელი ქაფით ან მხურავის ცოცხით.

გარემო პირობების ზემოქმედება DIN 18195 – ნაწილი 6-ის მიხედვით:

მოსასწორებელი ქაფით წაუსვით COMBIDIC-EL მინიმუმ, 2 ფენად. გააერთიანეთ ASO-ით გამყარებული ტექსტურა წყალგამძლე გარსის სველ პირველ საფარში, ფოსფატსა და კიდებზე. აცადეთ კარგად გაშრობა შემდეგი ფენის წასმამდე, რომ არ დაზიანდეს პირველი ფენა. მშრალი ზოლის სისქე უნდა იყოს მინიმუმ, 4 მმ. წაუსვით ASO-Systemvlies-02 COMBIFLEX-EL-ის სველ ფენას გადაფარვის გარეშე და მოაგლუვეთ მოსასწორებელი ქაფით ან მხურავის ცოცხით.

გარეთ მდებარე ბეტონის ელემენტების ზოლის ფორმის გადაბმების წყალგამძლეობის შემოწმება:

სამშენებლო ნაწიბურებსა და პირაპირის გადაბმებზე, შეუღწევადი ბეტონის კონსტრუქციების (მაგალითად, ჩამოსხმული კედელი ან ბეტონის სექციები) წყალგამძლეობის შემოწმებისას, გამოიყენეთ ბეტონის წყალგამძლეობის რეგულაციები. ზოლის ფორმის წყალგამძლეობის შემოწმება ტარდება მოსუფთავებულ ზედაპირზე, რომლის მინიმალური სიგანე 15სმ-ია გადაბმის ორივე მხარეს. წყალგამძლე გარსი ისმება ორ ფენად, რომლის დროსაც მასალის ხარჯიანობა 5.01/მ² -ია.

გააერთიანეთ ASO-ით გამყარებული ტექსტურა პირველ საფარში. მეორე ფენის წასმა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ ზემოდან გადასმით არ დაზიანდება პირველი ფენა. წაუსვით ASO-Systemvlies-02 დასრულებულ, მაგრამ ჯერ კიდევ სველ წყალგამძლე ფენას. კედლის/საძირკვლის ფილების ადგილებში აწიეთ წყალგამძლე გარსი მინიმუმ 10-15 სმ-ზე საძირკვლის ფილის წინა მხარის თავზე, გარემო პირობების გათვალისწინებით.

წყალგამძლე გარსის შეფასება:

ყოველთვის შეამოწმეთ სისქე და აღნუსხეთ შედეგები. გარემო პირობების ზემოქმედებისას, DIN 18195 – ნაწილი 5-ისა და ნაწილი 6-ის მიხედვით, აუცილებელია სველი ზოლის სისქისა და შრობის გაზომვა და შედეგების ჩაწერა. ზოლის სისქე მოწმდება, როცა ის სველია, სველი ზოლის სისქის გაზომვით (მინიმუმ 20 გაზომვა ყოველ სამშენებლო პროექტზე, ან მინიმუმ 20 გაზომვა ყოველ 100 მეტრზე). გაშალეთ საზომი წერტილები დიაგონალზე. კონსტრუქციის შიგნით მათი გამოვლენის მიხედვით, გაზომვების სიხშირე უნდა გაიზარდოს, მაგალითად, გადაკვეთების, გადასვლების და შეერთებების ადგილებში. DIN 18195, ნაწილი 6-ის მიხედვით, ორივე ზოლის სისქე უნდა შემოწმდეს ცალ-ცალკე. შრობის, ისევე როგორც მშრალი ზოლის სისქის შეფასება, ხორციელდება დესტრუქციული საკონტროლო ნიმუშით, ირიბი ჩაჭრის მეთოდის გამოყენებით. საკონტროლო ნიმუში შედგება პროექტის ქვენაფენიდან (ქვის ან აგურის წყობა, ბეტონის მოსაკირწყელი ფილა) აღებული მასალისგან, რომელიც ჩაისხმება სამშენებლო ორმოში,

სადრენაჟე და დამცავი ფიცრები:

წყალგამძლე გარსები დაცული უნდა იქნას ამინდის ზემოქმედებით გამოწვეული და მექანიკური დაზიანებისგან, შესაბამისი დამცავი მექანიზმების ან ფენების გამოყენებით, DIN 18195, ნაწილი 10-ის მიხედვით. დამცავა ფენებზე ზეგავლენა არ უნდა მოახდინოს წყალგამძლე გარსის რომელიმე წერტილზე ან წრფივ დატვირთვაზე. აქედან გამომდინარე, არ გამოიყენება ღრმულებიანი ფიცრები დამცავი ფენის გარეშე, ან დადარული დამცავი ფიცრები. დამცავი ფენები განათავსეთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც წყალგამძლე საფარი სრულად გაშრება. გამოსადეგი დამცავი და სადრენაჟე ფიცრების შეკეთება შესაძლებელია ცალკეულ მონაკვეთების პერიმეტრის ობოლაციით, პირაპირის შეკრული გადაბმების COMBIDIC-2K-CLASSIC -ით ან COMBIDIC-2K-PREMIUM-ით სრულად დაფარვით. დრენაჟი დაამონტაჟეთ DIN 4095-ის მიხედვით.

სამშენებლო ორმოების ხელახლა ამოვსება:

სამშენებლო ორმოების ხელახლა ამოვსება ხდება მას შემდეგ, რაც ბიტუმის დაფარვა სრულად გაშრება. ის უნდა ჩატარდეს შესაბამისი სახელმძღვანელო წესების დაცვით. ფენებზე მოათავსეთ და შეამჭიდროვეთ ორმოში ხელახლა ჩაყრილი მასალა, ყურადღება მიაქციეთ, რომ არ მოხდეს დამცავი ფენებში დაზიანება და დაცურება .

COMBIFLEX®-EL

მნიშვნელოვანი რეკომენდაცია:

- დაიცავით ის ადგილები, რომლებიც არ არის COMBIFLEX-EL-ით დამუშავებული.
- არ წაუსვით წვიმის დროს, როცა წვიმაა მოსალოდნელი, ან როცა ჰაერისა და ქვენაფენი შრის ტემპერატურა +5 °C-ს ქვემოთაა.
- ბითუმის საფარი ვერ უძლებს უარყოფით ჰიდროსტატიკურ წნევას. იმ ადგილებში, სადაც ეს მოსალოდნელია, ჯერ უნდა დაიდოს AQUAFIN-1K -ის დამცავი ფენა.
- დაიცავით ქვის/აგურის წყობის თავი და ღია ფანჯრის პარაპეტები წყლის შეღწევისგან.
- ზოლის მინიმალური სისქე, შეიძლება, არასდროს ჩამოვიდეს განსაზღვრული ნიშნულის ქვემოთ რომელიმე წერტილში!
- სველი ზოლის სისქე, შეიძლება, არ აცდეს მოთხოვნილ სიდიდეს 100%-ით, და ასევე შეიძლება, არც ერთ წერტილში არ მოხვდეს მოთხოვნილი მინიმალური მნიშვნელობის ქვემოთ.
- აღიარებული ტექნიკური რეგულაციების შესაბამისად, ჩატარეთ წყალგამძლეობის შემოწმებები AQUAFIN-RS300-ის ან AQUAFIN-2K/M-ის გამოყენებით, მზარდი კედლებისა და საძირკვლის ფილების ქვეშ.
- დაიცავით COMBIFLEX-EL კლიმატური პირობების ზემოქმედებისგან, როგორცაა მაგალითად, წვიმა, ყინვა, ძლიერი მზის სხივები, და სხვ., სანამ სრულად არ გამოშრება.

** ბითუმის დაფარვა, შეიძლება, გამოყენებული იქნას მხოლოდ DIN 18195-ის მიხედვით განსაზღვრულ შემთხვევებში, რაც დამტკიცებულია აღნიშნული სტანდარტის შესაბამის ნაწილში. ამჟამად, DIN 18195, ნაწილი 6-ის - წნევის ქვეშ მყოფი წყალი- მიხედვით, მისი გამოყენება არ არის ნებადართული. აქედან გამომდინარე, მისი მოხმარება უნდა შეთანხმდეს კონტრაქტით კლიენტსა და მომხმარებელს შორის, და DIN 18336, VOB ნაწილი C-ის მიხედვით, მის შესახებ გარკვევით და ცალკე ჩაიწეროს ტექნიკურ მახასიათებლებში. გთხოვთ, იხილოთ ინფორმაცია „პოლიმერთი მოდიფიცირებული ბიტუმის საფარის წყალგამძლეობის შემოწმების დაგეგმვისა და ჩატარების სახელმძღვანელო ინსტრუქციებში“, Deutsche Bauchemie e.V.

გთხოვთ, დაიცვათ ევროკავშირის ამჟამად მოქმედი უსაფრთხოების ნორმები.

GISCODE: BBP 10